შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№48 (9.613)

14-21 დეკემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მობილური ჯგუფი - ხალხის სამსახურში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებს მობილური მიკროავტობუსი მოემსახურება, რომელიც მოქალაქეთა წერილების ტრანსპორტირებას თვითმმართველობის ორგანოში უსასყიდლოდ მოახდენს, რამდენიმე დღეში კი ადრესატებს პასუხებს ადგილზე ჩაუტანს.

საინტერესო ინიციატივა დედოფლისწყაროს გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს ეკუთვნის. გამგებელმა ეს ინფორმაცია მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვისას გააჟღერა და ინიციატივის დადებით მხარეებზე ისაუბრა.

მისი თქმით, დედოფლისწყარო საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გაშლილი მუნიციპალიტეტია, რის გამოც მოქალაქეთა დიდ ნაწილს რაიონულ ცენტრში ჩამოსვლა და ადმინისტრაციულ შენობაში მისვლა უჭირს. ვითარება განსაკუთრებით ზამთრის სეზონზე რთულდება, რის გამოც ზოგიერთი სოფლის მაცხოვრებლებს თვითმმართველობის ორგანოდან სრული სერვისის მიღება ეზღუდებათ.

ამიტომ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მობილური ჯგუფი შექმნას, რომლებიც სოფლებში წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით იმოძრავებენ. დედოფლისწყაროს სოფლებში მცხოვრები მოქალაქეები მომსახურებით სარგებლობას უახლოეს მომავალში შეძლებენ. მათ წინასწარ ეცოდინებათ მოძრაობის გრაფიკი, რისი მეშვეობითაც თვითმმართველობის ორგანოსთან ურთიერთობას და მათთვის საინტერესო და სასურველი ნებისმიერი ინფორმაციის მიღებას გაცილებით მარტივად მოახერხებენ.

ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, უკვე შედგა მოლაპარაკებები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-თან, რომელიც მზადაა, სულ მალე, დედოფლისწყაროს ახალი მიკროავტობუსი გადასცეს.

სოფლად მცხოვრები მოქალაქეები ამ სახის დაბრკოლებებზე ყურადღებას გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ინტენსიურად ამახვილებენ. ისინი ამბობენ, რომ თუკი ამგვარი სიახლე დედოფლისწყაროში მართლაც განხორციელდება, ამით სოფლად მცხოვრები გლეხი შვებას იგრძნობს.

„საწვავი ძვირია, ტრანსპორტის ხარჯებიც ბევრს არ აქვს. მხოლოდ ფინანსურ შესაძლებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ასაკოვან ადამიანებს არც ფიზიკური შესაძლებლობა აქვთ, რომ სამარშრუტო ტაქსით, ან ნებისმიერი საშუალებით რაიონში წავიდნენ და მათი პრობლემა ხელისუფლებამდე მიიტანონ. ბევრს, ელემენტარულად, გადაადგილებაც უჭირს და ამ კუთხით თუ შევხედავთ, ძალიან მისასალმებელი ნაბიჯი იქნება. მითუმეტეს, თუ წერილებსაც წაიღებენ და პასუხსაც უკან დაუბრუნებენ. როგორც ჩანს, ახალი ხელისუფლება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების შემსუბუქებაზე ნამდვილად ფიქრობს,“ - აცხადებენ ადგილობრივები.

ილია მარტყოფლიშვილი

კახეთის გუბერნატორად ირაკლი შიოლაშვილი დაინიშნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 13 დეკემბერს ახალი გუბერნატორები წარადგინა. კახეთის გუბერნატორი იქნება ირაკლი შიოლაშვილი, იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი ; შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი; ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი მღებრიშვილი; სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია; მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ნუგზარ ყიფიანი; სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე; გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე; რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორი პარმენ მარგველიძე.

რაც შეეხება ახალი გუბერნატორების პროფესიას და სამუშაო გამოცდილებას, ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, კახეთის გუბერნატორს ირაკლი შიოლაშვილს უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს და გამორჩეული გამგებელი იყო წლების განმავლობაში. “„აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, კარგად იცის კახეთის რეგიონი, წარმოშობით კახეთიდან არის და ვიტყოდი, რომ მართლაც გამორჩეული გამგებელი იყო ბოლო 1 წლის განმავლობაში. ჩემთვის, პირადად არის მოდელი, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე გამგებელი თუ გუბერნატორი“, - აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი შიოლაშვილი უკვე ერთი წელია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პოსტს იკავებდა. მანამდე ის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა.

იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი, ინჟინერ-ტექნოლოგია, აქვს ბუღალტერ-ფინანსისტის კვალიფიკაცია, აქვს საფინანსო საქმიანობის გამოცდილება, ასევე სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება.

შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი პროფესიით საგარეო ურთიერთობების მართვის სპეციალისტი და ფინანსისტია, მას აქვს გამოცდილება საფინანსო ორგანიზაციებში მუშაობის.

ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი მღებრიშვილი არის იურისტი, მუშაობდა სამართალდაცვის სისტემაში.

“სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია, ჩემი მინისტრობის დროს იყო ძალიან გამორჩეული სამხარეო პოლიციის უფროსი. იგი პროფესიით სამართალმცოდნეა, კვალიფიკაცია გავლილი აქვს აშშ-ში. ის მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, იგი გახლავთ ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი და ღირსების ორდენის კავალერი. კარგი ავტორიტეტით სარგებლობს სამეგრელოში და კარგად იცის ამ კუთხის პრობლემები”, - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ნუგზარ ყიფინია, პროფესიით რეჟისორია. „ის ნიჭიერი კაცია, გახლავთ წესიერებით გამორჩეული ადამიანი, სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით“, - აღნიშნა პრემიერმა.

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე — საგარეო ეკონომიკური მიმართულებების სპეციალისტია, აქვს სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის გამოცდილება. “არის ძალიან პატრიოტი კაცი და კარგი მენეჯერი”, - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე - პროფესიით ეკონომისტია. “გიორგი ჩხაიძე წარმატებულია თავის საქმიანობაში, აქვს მენეჯერული საქმიანობის გამოცდილება და გურულებს ძალიან ღირსეული გუბერნატორი ეყოლებათ”, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის გუბერნატორი პარმენ მარგველიძე ეკონომისტია, ფინანსებისა და საბანკო საქმის მცოდნე. “იგი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი და კარგი მენეჯერია, წარმოშობით რაჭიდანაა, კარგად იცის ამ კუთხის პრობლემები”, -აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ძველმა გუბერნატორებმა თანამდებობები ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს დატოვეს.

ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილეს

გვ. 3

შეშა - სკოლებისთვის ძვირი სიამოვნება

გვ. 4

ზელავათიანი აგროკრედიტის პროექტი 2014 წელსაც გაგრძელდება

გვ. 2

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2014 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 25 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში.

შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

C M Y K

უამინდობა საქართველოში

ვაზიანი — გომბორი — თელავის საავტომობილო გზის ვაზიანი — თელავის მონაკვეთში აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

რაც შეეხება თბილისი — ბაკურციხე — ლაგოდეხის საავტომობილო გზას, თბილისი — წნორის მონაკვეთში აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა ნებადართულია.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ნარჩუნდება ცივი და ყინვიანი ამინდი, თოვლი, რის გამოც გზებზე მოძრაობის სპეციალური რეჟიმია დაწესებული.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია მძღოლებს მოუწოდებს, თუ გადაუდებელი აუცილებლობა არ არსებობს, ავტომობილებით გადაადგილებისგან თავი შეიკავონ.

მინისტრის განცხადებით, გზის გაწმენდის სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა. მისივე თქმით, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში მოსული უხვი ნალექის გამო, ტექნიკის დიდი ნაწილი აღმოსავლეთით არის მობილიზებული.

„საუბარია ასევე რიკოთის უღელტეხილსა და ბათუმთან მისასვლელ გზაზე, სადაც მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ტრანსპორტის მოძრაობაც თავისუფალია. მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურად იწმინდება გზები, უხვი ნალექის გამო მაინც შეზღუდვებია გომბორის უღრელტეხილსა და კობი - გუდაურის გზის მონაკვეთზე, სადაც აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი, ასევე 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. დღეს და ხვალ ოდნავ გამოიდარებს, თუმცა შემდგომ ისევ მოსალოდნელია ამინდის გაუარესება. ინტენსიურად მიმდინარეობს გზების გაწმენდა, იყრება მარილი და ქვიშა - ხრეში, თუმცა მძღოლებს მოვუწოდებთ, თუ აუცილებელი არ არის, გადაადგილებისგან თავი შეიკავონ, ან გამოიყენონ შესაბამისი საბურავები. იქ, სადაც მხოლოდ ჯაჭვებით არის მოძრაობა დაშვებული, გამოიყენონ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები. საპატრულო პოლიციასთან კოორდინაციით ვახერხებთ, რომ საცობები და სხვა არსებითი შეზღუდვები არ გვაქვს“, - აღნიშნა დავით ნარმანიამ.

მინისტრის ინფორმაციით, დიდთოვლობის გამო მაღალმთიანი რეგიონების რამდენიმე სკოლაში სასწავლო პროცესიც შეჩერებულია, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილებები ინდივიდუალურად მიიღება და მას მასობრივი ხასიათი არ აქვს.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი 2014 წელსაც გაგრძელდება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წელს განხორციელებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მომავალ წელსაც გაგრძელდება. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით გალეგაშვილმა აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, 2014 წლის პროექტისთვის 63 800 000 ლარია გათვალისწინებული.

დავით გალეგაშვილმა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ შემუშავებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ 2013 წლის ბიუჯეტის შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ მიმდინარე წელს, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში ჩართულია 15 კომერციული ბანკი და მიკროსაფინანსო დაწესებულება, აგროკრედიტის ბიუჯეტი კი 29 600 000 ლარს შეადგენს.

სხდომაზე მინისტრის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ 2012 წლის ნოემბრიდან, სოფლის მეურნეობა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი გახდა.

მინისტრის მოადგილესთან ერთად, კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე არჩილ ბულია და შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების“ კომპანიის დირექტორი ვაჟა კირტავა. მათ კანონმდებლებს ვრცლად მიანოდეს ინფორმაცია თავიანთი მიმართულებების მიხედვით შესრულებულ სამუშაოებზე და დაგეგმილ პროექტებზე.

კომიტეტმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობა დადებითად შეაფასა.

შეწყალების კომისიამ 54 მსჯავრებულზე სრული გათავისუფლების რეკომენდაცია გასცა

შეწყალების კომისიამ 54 მსჯავრდებულზე სრულად გათავისუფლების რეკომენდაცია გასცა, რომელთაგანაც ოთხი არასრულწლოვანია. ოქმი პრეზიდენტს სავარაუდოდ ხვალ გაეგზავნება.

როგორც კომისიის სხდომის დასრულების შედეგ სახალხო დამცველმა ჟურნალისტებს განუცხადა, 15 მსჯავრდებულზე სასჯელის განახევრების რეკომენდაცია გაიცა. შეწყალებულ პირთა სიაში ქალი მსჯავრდებულებიც არიან.

უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, რომ ნასამართლეობის მოხსნასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა მიმდინარებს და რამდენიმე საქმის განხილვა გადაიდება, რათა კომისიამ დეტალები კარგად შეისწავლოს.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, შეწყალებულ პირთა დიდი ნაწილი ნარკოტიკული დანაშაულის გამო არის მსჯავრდებული. მათ სიას შესაძლოა რამდენიმე ადამიანი კიდევ დაემატოს.

შეწყალების კომისიამ დღევანდელ სხდომაზე 160-მდე საქმე განიხილა. კომისიის შემდეგი სხდომა უახლოესი კვირების განმავლობაში გაიმართება.

ბექა გონაშვილი- კახეთში პირუტყვი შესაძლოა საკვების გარეშე დარჩეს

საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარის, ბექა გონაშვილის განცხადებით, თოვლისა და ყინვების გამო, კახეთში, პირუტყვი, შესაძლოა, საკვების გარეშე დარჩეს.

გონაშვილის თქმით, იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ნალექი იშვიათად მოდიოდა, ფერმერების დიდმა ნაწილმა საქონლისთვის საფურაჟე მარცველეული აღარ მოიმარაგა.

„ზამთარში, სიცივის მიუხედავად, ბალახის საფარი მაინც არის ხოლმე, ამიტომ გლეხები ხარჯების დაზოგვის მიზნით ქერს, ხორბალს, დედაცხვრისა და ბატკნების შვრიას იშვიათად ყიდულობენ. წელს, როგორც ჩანს, მკაცრი ზამთარი იქნება. თოვლში კი საქონელს საბალახოდ ვერ გაიყვან“, - განაცხადა გონაშვილმა.

მისივე თქმით, პირუტყვის საკვები ძვირია და მეცხვარეებს ხელი ძნელად მიუწვდებათ: „1 კგ ქერის ღირებულება ამ ეტაპზე 0,70 ლარია, სავარაუდოდ, 1 ლარამდე მოიმატებს, რაც მსოფლიო ფასს ბევრად აღემატება. ახალი ბალახი კარგა ხანს აღარ ამოვა და ეს კი სეზონზე ცხვრის სკვდილიანობას ნამდვილად გამოიწვევს“, — განაცხადა ბექა გონაშვილმა.

მეცხვარეთა ასოციაციის ინფორმაციით, ფერმერები მეურნეობას მიწის მაღალი გადასახადის გამო ხელმომჭირნედ მართავენ, რაც მათ საქმიანობას არამომგებიანს ხდის. მათივე თქმით, ხარჯების გამო, პირუტყვის, განსაკუთრებით ცხვრის, თვითღირებულება ძალიან მაღალია, რის გამოც მისი კონკურენტუნარიანობა მცირდება.

„2010 წლამდე, ერთ ჰექტარ მიწაზე გადასახადი 3 ლარი იყო. 2010 წელს, ყველასგან უკითხავად, მთავრობამ დადგენილება მიიღო, რომლის მიხედვით, მოსაკრებლის მოცულობას უკვე საგადასახადო კოდექსი აღარ არეგულირებს და რაიონების მიხედვით სხვადასხვა თანხა დაწესდა. მაგალითად, დედოფლისწყაროში ერთ ჰექტარზე 7 ლარია, ახმეტაში- 5 ლარი, საგარეჯოში-18 ლარი, კალკულაცია რის საფუძველზე ჩაატარეს, არავინ იცის. წელს, არაბეთიდან ცხვრის მყიდველები, თითქმის არ გამოჩენილან, მოლდავეთსა და რუმინეთზე გადაერთვნენ, სადაც საქონელი უფრო იაფია. ახლა ჩვენი ცხვარი აზერბაიჯანში გადის, რომელიც საკმაოდ არასტაბილური ბაზარია“, - აღნიშნა ბექა გონაშვილმა.



92 წლის ასაკში ქართველი მწერალი ჭაბუა ამერიჯიბი გარდაიცვალა

92 წლის ასაკში ქართველი მწერალი ჭაბუა ამერიჯიბი გარდაიცვალა. ჭაბუა ირაკლის ძე ამირეჯიბი 1921 წლის 18 ნოემბერს დაიბადა. მწერლის ბიგრაფიული მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 20-დან 40 წლამდე ამირეჯიბს არაფერი დაუწერია, პირველი მოთხრობა “რატომ არ დამაცადე” 1960 წელს გამოაქვეყნა.

ჭაბუა ამირეჯიბს ეკუთვნის მოთხრობათა კრებულები: „გზა“, „ძია შოთას ბადია“, არაკების კრებული „თაფლის წვეთი”“, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, სცენარები, სტატიები კინემატოგრაფიის საკითხებზე.

მწერლის ნაწარმოებებია, მოთხრობები: „ჩემი მეჯღანე ბიძა“, „ხარის აღსარება“, „გიორგი ბურდული“ და სხვა.

მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია რომანი „დათა თუთაშხია“.

2010 წლის 15 ოქტომბერს ჭაბუა ამირეჯიბი ბერად აღიკვეცა და სახელად დავითი ეწოდა. მწერლის ფიზიკური მდგომარეობის გამო ბერად აღკვეცის წესი ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა, მეუფე სერაფიმემ მისსავე სახლში შეასრულა. როგორც მეუფე სერაფიმემ მაშინ ჟურნალისტებს განუცხადა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის კურთხევით, ჭაბუა ამირეჯიბს ბერი დავითი ეწოდა, წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის სახელი. ბერ დავითს, კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, წერის გაგრძელება შეეძლო. წესის შესრულების შემდეგ, ბერ დავითს ბერული სამოსელი, სკვნილი გადასცეს და ერზე, სამშობლოზე ლოცვის კურთხევა მისცეს.

საქართველოს მთავრობის განცხადებით, საქართველოს მთავრობის ინიციატივით ჭაბუა ამირეჯიბის ოჯახთან შეთანხმებით მიღებულია გადაწყვეტილება ჭაბუა ამირეჯიბის მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვის შესახებ.

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება სამების საკათედრო ტაძარში ორშაბათს, 16 დეკემბერს, გამოსვენება სამშაბათს, 17 დეკემბერს სამების საკათედრო ტაძრიდან.

სოფელ ჩალაუბანში ხანძარს 80 წლის ქალი ემსხვერპლა

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში, საკუთარ სახლში გაჩენილ ხანძარს 80 წლის ქალი ემსხვერპლა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ჩალაუბნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ვალერი ბარნაბიშვილმა განუცხადა, წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლი სავარაუდოდ შეშის ღუმელიდან გაჩნდა.

მისივე თქმით, ხანძრის შედეგად ორსართულიანი სახლი მთლიანად დაიწვა.

„ხანძრის დროს სახლში მოხუცი ქალბატონი მარტო იმყოფებოდა. შვილიშვილის ოჯახი ჰყავდა სტუმრად, რომლებიც იმ დროს მაღაზიაში იყვნენ გასულები. სავარაუდოდ, ცეცხლი შეშის ღუმელიდან გაჩნდა. სახანძრო — სამაშველო ბრიგადებმა ვერც ქალბატონის და ვერც სახლის გადარჩენა ვერ შეძლეს“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ვალერი ბარნაბიშვილმა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას გურჯაანის პოლიცია აწარმოებს.

ავტოსაგზაო შემთხვევა სოფელ გამარჯვებაში

10 დეკემბერს ავტოსაგაზაო შემთხვევა მოხდა დედოფლისწყაროში. სოფელ გამარჯვებასთან თბილისი-დედოფლისწყაროს ცენტრალურ მაგისტრალზე „ოპელის“ მარკის ავტომობილი ხევში გადავარდა. შემთხვევას გაზეთი „შირაქი“ შეესწრო.

ამობრუნებული ავტომანქანა ბოლავდა, იყო აალების საფრთხე, თუმცა გამვლელებმა ყველა მგზავრი ავტომანქანიდან დროულად ამოიყვანეს.

წინასწარი ინფორმაციით, ავარიის გამომწვევი მიზეზი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გახდა. ცენტრალურ მაგისტრალზე ასფალტსაფარის დაგება მიმდინარეობს, თუმცა გზის ეს მონაკვეთი ამ დროისთვის დაგებული არ არის, სავარაუდოდ, ავტომანქანა ქვიშით მოხრეშილ გზაზე მოცურდა. ამ დროისთვის გზა მთლიანად მშრალი იყო და თოვლი, ან ყინვა არ ყოფილა.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების, სამაშველო სამსახურისა ადგილობრივი ბრიგადები და საპატრულო პოლიცია „შირაქმა“ გამოიძახა.

დაშავებულები ადგილობრივ საავადმყოფოში დროულად გადაიყვანეს. ავტომობილში 4 ადამიანი იმყოფებოდა. ერთი ახალგაზრდა გოგონა, ერთიც შუა ხნის ქალბატონი და ორი შუა ხნის მამაკაცი. როგორც დაშავებულები ჩვენთან საუბრისას აცხადებენ, ყველა მათგანი თელავის რაიონიდან არის და დედოფლისწყაროში მიემგზავრებოდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 11 დეკემბერს დედოფლისწყაროს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო. მომავალი წლის ბიუჯეტი 4 მლნ 300 ათასი ლარით განისაზღვრა. მიმდინარე წლის დამატებით გეგმასთან შედარებით 190 000 ლარითაა გაზრდილი. განხილვას საკრებულოს, გამგეობისა და სხვა სამსახურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. ტრადიციულად პასიურობდა სამოქალაქო სექტორი. სხდომას არცერთი დაინტერესებული მოქალაქე არ დასწრებია.

სათნოების სახლის ხელმძღვანელმა ციცო დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ მათთვის დაფინანსების ზრდა აუცილებელია. საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკრებულოში უკვე შევიდა სათნოების სახლის ხელმძღვანელის წერილი და მისი განხილვა მიმდინარეობს. თავის მხრივ, გამგებელმა დაამატა, რომ თუკი მომავალ წელს სათნოების სახლისთვის თანხის დამატების აუცილებლობა დადგება, რეალურად ამის პრობლემა არ იქნება, რადგან წელს ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის სახანძრო განყოფილების უფროსი დავით ალუღიშვილი კი სპეცავტომობილის შეძენის საკითხს შეეხო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი დედოფლისწყაროს წლევანდელ ბიუჯეტს საუკეთესოს უწოდებს. მისი თქმით, 2013 წლის გეგმა 180%-ითაა შესრულებული.

„წელს ჩვენ გვაქვს უპრეცედენტო ნაშთი. ამჟამად, დედოფლისწყაროს ანგარიშზე 3,5 მლნ თანხა დევს. სხვათაშორის, ასეთი რამ დედოფლისწყაროს ისტორიაში არ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რამდენი საქმე და მნიშვნელოვანი ინფრასტუქტურული პროექტი განხორციელდა. საბოლოო ჯამში, წლევანდელი გეგმა შესრულებული გვაქვს 180%-ით... ასეთი ბიუჯეტი არასოდეს ყოფილა. შემოსულობებიდან 1 650 000 ლარი ზედმეტად არის ბიუჯეტში მობილიზებული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იანვრიდან ეს თანხა ახალ ბიუჯეტს დაემატება," — აღნიშნავს ირაკლი შიოლაშვილი.

რამდენიმე შენიშვნა ჰქონდა განხილვაზე მყოფ ერთადერთ ოპოზიციურ პარტიას. „თავისუფალი საქართველოს" დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თამილა გურაშვილმა პოზიცია სხდომაზე ღიად დააფიქსირა. მას აინტერესებდა, გასულ წლებთან შედარებით რატომ იკლო სოციალურ პაკეტში გათვალისწინებულმა თანხების ოდენობამ. დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა ყველა კითხვაზე არგუმენტირებული პასუხი გასცა. შიოლაშვილის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში საყოველთაო დაზღვევა ამოქმედდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სტაციონარული მკურნალობის თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებული თანხების გამოყოფის აუცილებლობა აღარ დგას.

კითხვა დაისვა იმასთან დაკავშირებითაც, ახლადგახსნილ სპორტულ დარბაზში სპორტული ინვენტარით სარგებლობაზე რატომ დაწესდა გადასახადი. აღინიშნა ისიც, რომ გადასახადი სიმბოლურია, საათში 2 ლარი, თუმცა ცხადია, რომ ეს თანხა თანამედროვე სტანდარტებით და გათბობით უზრუნველყოფილ დარბაზში მართლაც სიმბოლურია, რათა თავიდან აცილებული იყოს რიგები.

იზრდება დასუფთავების სამსახურის ხარჯებიც. ამას კი თვითმმართველობის ორგანო იმ მიზეზით ხსნის, რომ მათი სამოქმედო არეალი მკვეთრად გაიზარდა, ეს კი დამატებით ხარჯებს მოითხოვს. შესაძლოა ამ სამსახურში შტატების ზრდის აუცილებლობა დადგეს, მით უფრო, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში ახლადდასრულებული რამდენიმე სკვერის მოვლა-პატრონობაც სწორედ დასუფთავების სამსახურს ევალება.

სხვა სახის შენიშვნები და წინადადებები სხდომაზე არ გამოთქმულა.

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო"-ს დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე შოთა ჯამასპიშვილი ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს ეხმაურება და შეფასებებს აკეთებს.

ჯამასპიშვილის განცხადებით, ბიუჯეტი ცუდად შედგენილი არ არის, თუმცა შესწორებებს საჭიროებს.

„განხილვაზე არ ვყოფილვარ, თუმცა პროექტს გაზეთ „შირაქში" გავეცანი. ბიუჯეტი ბევრ საკითხში ნორმალურადაა გადანაწილებული, თუმცა, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, ჯანდაცვასა და სოციალურად დაუცველებისთვის გაცილებით მეტი თანხა გამოიყოს. ვფიქრობ, რომ ჩვენს სოფლებს დამატებითი თანხები კიდევ უფრო წაადგებოდა. ამ პროექტში კი სოფლის პროგრამის თანხები ასახული არ არის. მთლიანობაში დედოფლისწყაროს ბიუჯეტი მაინცდამაინც ცუდად შედგენილი არ არის, თუმცა ვფიქრობ, რომ შესწორებები შესატანია. ძალიან მცირეა ბიუჯეტი, იმიტომ, რომ დედოფლისწყაროში არ არის ეკონომიკა, სამუშაო ადგილები და ამ მხრივ ძალიან სავალალო მდგომარეობაა. ნათლად ჩანს, რომ დღევანდელი ბიუჯეტით არ შეიძლება დედოფლისწყაროს მაცხოვრებლი კმაყოფილი იყოს," - განუცხადა გაზეთ „შირაქს" შოთა ჯამასპიშვილმა.

ქრისტიან-დემოკრატების დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლია ჩოქური გაზეთ „შირაქთან" საუბრისას ამბობს, რომ ბოლო დროს დედოფლისწყაროში ინფრასტუქტურის გაუმჯობესება თვალშისაცემია და ის ამ ფაქტს მხოლოდ მიესალმება.

ილია მარტყოფლიშვილი

პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტი პირველი მოსმენით მიიღო

საქართველოს პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტი პირველი მოსმენით მიიღო.

პროექტს 82-მა დეპუტატმა არც ერთის წინააღმდეგ დაუჭირა მხარი.

განხილვასა და კენჭისყრას საპარლამენტო უმცირესობა არ ესწრებოდა.

წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტით, რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ორგანიზებასთან, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებთან და მის ორგანოებთან, დედაქალაქის სტატუსთან და მის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული საკითხები.

პროექტი ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობასთან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, სახელმწიფო ზედამხედველობასთან, აუდიტთან და პირდაპირ სახელმწიფო მმართველობასთან და მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ცვლილების თანახმად, არსებულ 5 თვითმმართველ ქალაქს დაემატება დღევანდელი სამხარეო ცენტრების კიდევ 7 ქალაქი და სულ 12 თვითმმართველი ქალაქი იქნება, სადაც მერები პირდაპირი წესით აირჩევიან.

ასევე რეგიონული კოლეგიური ორგანოების ნაცვლად საკონსულტაციო ფუნქციების საბჭოები შეიქმნება, რომლის შემადგენლობაში პოლიტიკური წარმომადგენლობის ნაცვლად არჩეული მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები იქნებიან.

საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წევრის დავით ბერძენიშვილის განცხადებით, თვითმმართველობის რეფორმა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობაა.

ამის შესახებ ბერძენიშვილმა პარლამენტის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„მინდა მადლობა გადავუხადო კოლეგებს ამ თვეების განმავლობაში უზარმაზარ კოდექსზე კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. თვითმმართველობის კოდექსი არის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობა. ის უშუალოდ იყო ჩართული და ხელმძღვანელობდა ჯერ კიდევ საარჩევნო პროგრამის მომზადების პროცესში ამ თემებზე ჩვენი პოზიციის ჩამოყალიბებას, შემდეგ პრემიერ-მინისტრობის დროს ასევე უშუალოდ ხელმძღვანელობდა და მისი ხელმოწერით არის მთავრობიდან შემოტანილი პარლამენტში", - განაცხადა ბერძენიშვილმა.

შეშა - სკოლებისთვის ძვირი სიამოვნება

ზოგიერთი საჯარო სკოლა შეშას ორმაგად მაღალ ფასში ყიდულობს. ამის შესახებ უკმაყოფილებას მოსწავლეთა მშობლები გამოხატავენ. პრობლემაზე ღიად საუბრობენ სიღნაღსა და დედოფლისწყაროში, სახელდება კონკრეტული სოფლებიც: სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლები ხირსა და ხორნაბუჯი, ასევე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მიხეილ ბახუტაშვილი ამბობს, რომ სკოლების მიერ შეშის მაღალ ფასში შესყიდვის, ან ამ კუთხით საგანგაშო ვითარების არსებობის თაობაზე არაფერი სმენია და საკითხით დაინტერესდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის დირექტორი თამარ ბატიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ადასტურებს, რომ შეშას მართლაც მაღალ ფასში ყიდულობს, თუმცა იქვე იმასაც დასძენს, რომ სკოლები შეშის კერძო პიროვნებებისგან შესყიდვას ვერ ახერხებენ.

„თებერვლამდე სამყოფი შეშის მარაგი უკვე შეძენილი მაქვს, შემდეგ კიდევ შევიძენთ. კუბური მეტრი 65 ლარად. საერთოდ სკოლები მაღალ ფასში იძენენ, რადგან მოსახლეობიდან შესყიდვის უფლება არ გვაქვს. ჩვენთან არის ინდმეწარმე ზაზა თარაშვილი, ვისგანაც შევიძინეთ. ის ადგილობრივი მაცხოვრებელია, რომელმაც ველისციხიდან მოგვიტანა შეშა. რადიკალურად განსხვავებული ფასია იმათგან, ვინც შეშას არაოფიციალურად, უნებართვოდ ანზადებს და ისე ჰყიდის, ჩვენ მისგან შეშას ვერ შევიძენთ,“ — აღნიშნავს ბატიაშვილი.

ზოგიერთი სკოლის მიერ შეშის არარეალურ ფასში შეძენაზე საუბრობს „ერთსულოვნება“ საზოგადოებრივი დაცვის კავშირის აღმოსავლეთ რეგიონის ხელმძღვანელი მაია სუხიშვილიც. მისი ინფორმაციით, ასეთი ფაქტები ბევრ სკოლაში ფიქსირდება, ის ამ ფაქტს ელიტარულ კორუფციად აფასებს.

„სკოლები შეშას ყიდულობენ, ინდ. მეწარმისაგან 150 ლარად, იმ დროს როცა შეშა ღირს 70-80 ლარი... ამას ვერავინ ხედავს? ეს არის ელიტარული კორუფცია,“ — აღნიშნავს სუხიშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

სიკვდილით დაწყებული სიცოცხლე

დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლა არ ღალატობს თავის პრინციპებს და თემატური ღონისძიებებითა თუ ღია კლასის დღეებით კვლავ გვანებივრებს. ამ დღეებში სწორედ ამგვარ მორიგ შეხვედრაზე იყო მიწვეული გაზეთი „შირაქი” მეორე სკოლაში. პედაგოგის ნინო ლოლაშვილის ინიციატივით და ორგანიზებით ჩატარდა ღია კლასის საათი, რომლის თემად ნიკო ფიროსმანის ცხოვრება და შემოქმედება იყო არჩეული. „სიკვდილით დაწყებული სიცოცხლე” -ასეთი სახელწოდების გახლდათ ღია კლასის საათი, სადაც მოსწავლეებმა ქეთი და ნინო არაბულებმა, ნინო თეთრაულმა, მარიამ მამადაშვილმა, დავით ნასრაშვილმა და სხვებმა ისაუბრეს როგორც ფიროსმანის ბიოგრაფიაზე, ასევე განიხილეს ფიროსმანის ზოგიერთი ნახატი. თავისთავად ცხადია, ფიროსმანი ეს ისეთი თემაა, რომელზეც დაუსრულებლად შეგვიძლია ვისაუბროთ, თუმცა ჩვენთვის ის ტკივილიცაა და სიხარულიც, რამეთუ, ის ჩვენი კუთხის შვილი გახლდათ და ამავე დროს, ძალიან სევდიანი ცხოვრებით იცხოვრა. დიახ, მართალნიც არიან მოსწავლეები, კაცი, რომელიც „ასე მიუსაფარი” მიიცვალა და ვინ იცის, რამდენ სევდას იტევდა მისი გული, სწორედ სიკვდილის შემდეგ გახდა აღიარებული. არავინ იცის, მაგრამ მაინც, იქნებ ღირდა კიდეც ამხელა აღიარებისთვის ის სევდიანი ცხოვრებაც. ვინ იცის....

მეორე საჯარო სკოლას და პედაგოგ ნინო ლოლაშვილს კი მადლობას მოვახსენებთ, ჩვენი დიდი მხატვრის, ფიროსმანის კიდევ ერთხელ გაცოცხლებისთვის.

ლალი მეხრიშვილი

პროფესიის არჩევაში მოსწავლეებს კონსულტანტები დაეხმარებიან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ,,პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას'' იწყებს, რომელიც საბაზო და საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის 2014 წლიდან ამოქმედდება. პროგრამის მიზანია სკოლებში პროფკონსულტანტები

დაეხმარონ მოზარდებს საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასებასა და განვითარებაში, რაც საბოლოოდ მათ პროფესიის არჩევაში დაეხმარება.

სამინისტროს მიერ ინიცირებული ,,პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის'' განხორციელებას, კერძოდ, პროგრამაში ჩართული კონსულტანტების შერჩევას, მომზადებას, მათი საქმიანობის კოორდინირებასა და მონიტორინგს სამინისტროს ფსიქოლოგიური ცენტრი ახორციელებს. ცენტრში უკვე დასრულდა პროფკონსულტანტების გადამზადების პირველი ეტაპი.

კონკურსის წესით შერჩეულმა 103 პროფკონსულტანტმა და ხუთმა კოორდინატორმა ეტაპობრივად გაიარა გადამზადება შემდეგ მოდულებში:

- მოზარდის ასაკობრივი თავისებურებები
- ეფექტური კომუნიკაცია
- მართვის უნარჩვევები
- პროფორიენტაცია

გადამზადებული პროფკონსულტანტები, კლასის დამრიგებლებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარებაში, უზრუნველყოფენ სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებას, სკოლებისთვის შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე ინფორმაციის მიწოდებას, სკოლებისა და დამსაქმებლების ერთმანეთთან დაკავშირებას და თანამშრომლობას.

საქართველოს მასშტაბით 57 სკოლის გაზიფიცირება განხორციელდა

2013 წელს 57 საჯარო სკოლის გაზიფიცირება განხორციელდა, 37 სკოლაში გათბობის ახალი სისტემა დამონტაჟდა. პროექტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ენერგეტიკის სამინისტროს თანამონაწილეობით ახორციელებს. მომავალი წლიდან, ეტაპობრივად, იმ სკოლების გაზიფიცირება დაიწყება, სადაც სოფლებში უკვე არის გაზი.

ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთის №1 საჯარო სკოლა ერთ-ერთია, სადაც გათბობის სისტემა 90-იანი წლების შემდეგ აღარ ფუნქციონირებდა და სკოლის გათბობა ინდივიდუალური შეშის ღუმელებით ხდებოდა. 2013 წელს სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა, კერძოდ: შეიცვალა კარ-ფანჯრები, სკოლის ტერიტორიაზე შეყვანილი იქნა გაზი, აშენდა საქვაბის შენობა, მოეწყო საქვაბე და სკოლის მთელ ფართზე მოხდა გათბობის სისტემის მონტაჟი. სკოლის რეაბილიტაციაზე 250940 ლარი დაიხარჯა.

კაზრეთის №1 საჯარო სკოლას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და სამინისტროს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტოს დირექტორი გიგა უმეკაშვილი ეწვივნენ. კაზრეთის №1 საჯარო სკოლაში 626 მოსწავლე სწავლობს, სკოლის 41 პედაგოგიდან 13 სერთიფიცირებულია.

ბოლნისში სულ 32 საჯარო სკოლაა, მათგან 7 სკოლას 2013 წელს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის პროცესი მომავალ წელსაც გაგრძელდება. ბოლნისის ბევრ სოფელში წელს შეიყვანეს გაზი და შესაბამისად, მოხდება ამ სოფლების სკოლების გაზიფიცირება.

სკოლების გაზიფიცირების პროექტის მიზანია საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს სწავლებისთვის კომფორტული გარემო ჰქონდეთ. სამწუხაროდ, რეგიონებში ჯერ კიდევ არის სკოლები, რომელიც შეშის ღუმელებით, არასრუფასოვნად თბება. ასეთი სკოლების გაზიფიცირება არა მხოლოდ დისკომფორტს მოუხსნის სკოლებს, არამედ, მოხდება გათბობისთვის გამოყოფილი სახსრების დაზოგვაც. სკოლების გაზიფიცირების პროცესში აქტიურადაა ჩართული ენერგეტიკის სამინისტრო და ეტაპობრივად, გაზი ყველა სკოლას ექნება.

ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონი“ „სტუმარ-მასპინძელი“ კვლავ წარმოადგინა

დედოფლისწყაროს ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონი“ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ კიდევ ერთხელ წარმოადგინა.

როგორც სპექტაკლის რეჟისორმა ცარო მარტიაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, თეატრი არაერთ სიახლეს გეგმავს. მისი თქმით, დედოფლისწყაროში მაყურებლის წარმოდგენაზე დასწრების კულტურა დასახვეწია.

„ვფიქრობ, პრემიერა უკეთესი იყო, მაგრამ დღევანდელი დღეც კარგი გამოვიდა. ბავშვები მეტ-ნაკლებად სცენაზე დგომას მიეჩვივნენ. ველოდებით სიახლეებს, გვინდა, რომ უფრო დავხვეწოთ, უფრო განვავითაროთ. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი იდეაფიქსი ის გახლავთ, რომ მაყურებელი თეატრში მოქცევის წესებს მივაჩვიოთ. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ახალგაზრდული სტუდია ამზადებს ისტორიულ სპექტაკლს „ბასიანის ბრძოლა“, რომლის პრემიერა მომავალი წლის 14 მაისს თამარის ხსენების დღეს გვექნება. უფროსების ჯგუფთან სულ მალე, იანვრიდან დავიწყებთ მუშაობას, გვინდა „ნატვრის ხე“ დავდგათ, რომლის პრემიერას ზაფხულში ვგეგმავთ. ასე რომ, მაყურებელს მომავალ წელს ორი ახალი სპექტაკლი და ერთი აღდგენილი „სტუმარ-მასპინძელი“ ელოდება,“ — აღნიშნა ცარო მარტიაშვილმა.

რამდენიმე კვირის წინ, ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონი“ „სტუმარ-მასპინძელის“ გასვლითი ჩვენება ზემო ქედის კულტურის სახლის სცენაზეც მოაწყო.

როგორ ვებრძოლოთ სურდოს?

სურდო დაავადების სიმპტომია და არა დაავადება. მას ძირითადად გაციება იწვევს. ადამიანი ყოველ 60 წამში 16-18 ჩასუნთქვას აკეთებს. ჰაერში კი უამრავი მტვერი, ალერგენი, ბაქტერია და ვირუსია. მათგან დაცვის პირველი ბარიერი ცხვირია. ჩვეულებრივ პირობებში ეს უკანასკნელი კარგად უმკლავდება ჰაერში შემავალ უამრავ საშიშროებას, მაგრამ გაციებისას ცხვირის დამცველი მექანიზმი ველარ ებრძვის 200-ზე მეტი დასახელების რესპირატორული ვირუსის მასობრივ შემოტევას.

ისინი კი მშვენივრად იბუდებენ ლორწოვან გარსში და იწყებენ გამრავლებას. იმისათვის, რომ ლორწოვანი გარსი გათავისუფლდეს ვირუსებისგან, იწყებს ლორწოს დიდი რაოდენობით გამოყოფას, რომელიც გამორეცხავს მავნე ალერგენებს. ამ სადრენაჟო სისტემამ უფრო ეფექტურად რომ იმუშაოს, ლორწოსა და ვირუსების ფორსირებული გამოდევნისათვის ბუნებამ დაცემინება გამოიგონა.

სურდომ რომ არ დაგძლიოთ

არ დაიზაროთ ვირუსის საწინააღმდეგო ნაყენის მომზადება. აიღეთ თანაბარი რაოდენობით ასკილი, ძახველი, სალბი და ბარამბო. 1 სუფრის კოვზ ბალახის ნარევს დაასხით ჭიქა მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 2 საათი თერმოსში. შემდეგ გაწურეთ, გააცივეთ, დაუმატეთ 1-2 წვეთი ქაცვის ზეთი. ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად დალიეთ 1 ჭიქა.

გასრისეთ წითელი ძახველის ან მოცვის ნაყოფი, შეურიეთ გემოვნებით თაფლი, დაუმატეთ ცოტა ადუღებული წყალი. გაციებისას ეს კოქტეილი, ჩაის ჭიქის მესამედი, დღეში სამჯერ დალიეთ.

რომ არ დაავადდეთ, მოამზადეთ შემდეგი მიქსტურა: დააქუცმაცეთ ნივრის 8 კბილი და გაუფცქვნელი ნახევარი ლიმონი, დაასხით 0,5 ლიტრი ანადუღარი გაცივებული წყალი და გააჩერეთ 4 დღე ბნელ ადგილას. ზამთარში, აპრილის დადგომამდე, ყოველდღიურად, მიიღეთ 1 სუფრის კოვზი, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

თუ სურდო მაინც შეგეყარათ

ნუ წახვალთ სამსახურში. სახლში დოლბანდაფარებულმა იარეთ. მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე და ყოველდღიურად თბილი შხაპი. წყალი კარგად ჩამორეცხავს ინტოქსიკაციის პროდუქტს, რომელიც ოფლთან ერთად გამოიყოფა. “შეიარაღდით” ერთჯერადი ცხვირსახოცებით. ნაჭრის, ძალიან ლამაზი ცხვირსახოციც კი, მომენტალურად ვირუსების ბუდე ხდება. ნუ შეჭამთ ბევრს, მოკრძალებული დიეტა (რძე და მცენარეული პროდუქტები) ზოგავს ენერგიას, რომელიც სურდოსთან საბრძოლველად გჭირდებათ. არ დაივიწყოთ სახლის განიავება, სუფთა ჰაერი ძალიან სასარგებლოა.

სურდოს ექსპრესმკურნალობა

ყველამ იცის, რომ სურდოს, მკურნალობის შემთხვევაშიც კი, ერთი კვირა უნდა “დაუთმოს”. მიუხედავად ამისა, არსებობს ექსტრემალური მეთოდები, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში მწყობრში ჩაგაყენებთ.

მენთოლი და პიტნა — ამ ნივთიერებების შემცველი აბები დროებით მაინც გაგათავისუფლებთ სურდოსგან, იმ შემთხვევაში, თუ გადაუდებელი შეხვედრა გაქვთ.

აბაზანა — 38-39 გრადუს ცხელ წყალში გახსენით 4 კოლოფი სუფრის მარილი (მსხვილი) და ჩაწექით აბაზანაში 30-40 წუთით. მუდმივად ამატეთ ცხელი წყალი. ასეთი აბაზანა გაგათბობთ, ხელს უწყობს ნოტიო ჰაერის ინჰალაციას და ამცირებს სურდოს. ღამით საწოლში მეორე ბალიშიც დაიდეთ, რითაც შეამცირებთ ცხვირის “გაჭედვას” და გამონადენს.

* * *

სამ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელია ინფექციურ თუ ალერგიულ დაავადებათა ტოქსიკური მიმდინარეობა. ტოქსიკური მდგომარეობა მოიცავს ნევროლოგიურ დარღვევებს თერმორეგულაციის ცვლილებით, სისხლძარღვოვან უკმარისობასა და წყალმარილოვან დისბალანსს. როგორ შევაჩეროთ ორგანიზმის ინტოქსიკაცია, როგორ აღვადგინოთ მისი დარღვეული ფუნქციები? მედიკოსების რჩევები ასეთია:



- ჩვილ ბავშვთა ასაკში ნებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადება, განურჩევლად იმისა, ვირუსული იქნება თუ ბაქტერიული, ორგანიზმის ზოგადი ინტოქსიკაციით მიმდინარეობს.

რესპირატორული ანუ სასუნთქი გზების დაავადებათა ტოქსიკური ფორმები გამოწვეულია ვირუსული და ვირუსულ-ბაქტერიული ასოციაციებით, ხოლო ნაწლავთა დაავადების დროს წამყვანია ენტეროპათოგენური გრამუარყოფითი ფლორა.

იმისდა მიხედვით, თუ საიდან შეიჭრება ინფექცია ორგანიზმში და სად დაიბუდებს (სად ექნება პირველი კერა), თავს იჩენს ან სასუნთქი, ან საჭმლის მომნელებელი სისტემის დაზიანების კლინიკური ნიშნები.

ტოქსიკოზი რომ განვითარდეს, ამისთვის გამომწვევის ორგანიზმში შეჭრა, თუნდაც მასიური, არ არის საკმარისი. აუცილებელია, ინფექციურ აგენტს ჰქონდეს ტროპიზმი. მხოლოდ მაშინ რეალიზდება, როდესაც ბავშვის ორგანიზმს აქვს მომეტებული მგრძნობელობა. ამ უკანასკნელის ხარისხის მიხედვით, ტოქსიკოზი მსუბუქად, საშუალოდ ან მძიმედ მიმდინარეობს.

ორგანიზმის მომეტებული მგრძნობელობის მიზეზებია:

- იმუნური სისტემის ჩამოუყალიბებლობა, უმწიფრობა;
- მემკვიდრეობითი განწყობა;
- თანდაყოლილი იმუნოდეფიციტური მდგომარეობა.

- რა ნიშნებით ვლინდება ორგანიზმის ინტოქსიკაცია?

- ტოქსიკოზის ტიპური მიმდინარეობისთვის დამახასიათებელია გენერალიზებული რეაქციებისა და პათოლოგიური პროცესის ორგანული ლოკალიზაციის მონაცვლეობა.

ტოქსიკოზის სიმძიმის კვალობაზე (მსუბუქია, საშუალო თუ მძიმე) მეტ-ნაკლებად არის გამოხატული შემდეგი ნიშნები:

- ზოგადი სისუსტე, ადინამია, ძილად მივარდნა;
- ხასიათის, გუნება-განწყობის ცვლილება, აგზნება, ჭირვეულობა;
- ძილის დარღვევა: დღისით ზედმეტი ძილიანობა, ღამით კი უძილობა;
- გულისრევის შეგრძნება, პირღებინება;
- ტემპერატურული რეაქცია.

თუ პატარას ეს ნიშნები გამოაჩნდა, მშობლებმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ ექიმს. ტოქსიკოზს ყოველთვის სჭირდება სწრაფი მოქმედება და ეტაპობრივი, კომპლექსური მკურნალობა.

- როგორ ხდება ტოქსიკოზის მკურნალობა?

- ტოქსიკოზის მკურნალობა ანუ დეზინტოქსიკაციური თერაპია ბავშვებს სტაციონარში უნდა ჩაუტარდეთ. მდგომარეობის სიმძიმის შესაბამისად, ავადმყოფს ათავსებენ ან სომატურ ან ინფექციურ განყოფილებაში, ან უშუალოდ რეანიმაცია-ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. მკურნალობა გულისხმობს სისხლძარღვოვანი, ნევროლოგიური, მეტაბოლური დარღვევების აღდგენას, ასევე - უჯრედული ჰიპოქსიის (ჟანგბადის უკმარისობის), ენერგეტიკული რესურსების დეფიციტისა და მისი შედეგების - ტვინის შეშუპების, თირკმელზედა ჯირკვლის მწვავე უკმარისობის - პროფილაქტიკასა და მკურნალობას.

გადასასხმელი სითხის ოდენობა დაკარგულის ოდენობის მიხედვით განისაზღვრება. წვეთების სიჩქარე დამოკიდებულია ტოქსიკოზის ხარისხზე, ასევე - თვით სითხის შემადგენლობას.

ინფუზიური თერაპიის დროს აუცილებელია ლაბორატორიული სისხლის ბიოქიმიური მაჩვენებლების კონტროლი.

დეზინტოქსიკაციური, ინფუზიური თერაპიის მთავარი პრინციპია ყველა ღონისძიების განხორციელება ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყველა შესაძლო გართულება. საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, დროულად დაიწყება თუ არა მკურნალობა, ადეკვატურად შეფასდება თუ არა მდგომარეობა და სწორად შეირჩევა თუ არა სამკურნალო მეთოდები.

ჯერ შენი უნდა გიყვარდეს

თემაზე, რომელსაც ქვემოთ მინდა შევეხო,დიდი ხანია, ვფიქრობ.ამ საკითხზე ბევრთან მქონია საუბარი. ადამიანების დიდ ნაწილს ეს გულწრფელად აწუხებს. ამასწინათ კი რედაქციაში მოქალაქე ელგუჯა გველუკაშვილი გვეწვია. ის ხანდაზმული ადამიანია, ცხოვრების დიდი გზა აქვს გავლილი, საკუთარი საფიქრალ-საზრუნავიც არ აკლია, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსაც, როგორც ჩანს, აქტიურად ადევნებს თვალყურს, ფიქრობს მასზე და, შეძლებისდაგვარად, აანალიზებს კიდეც.

-მე კარგი შემსრულებელი არ გახლავართ, მაგრამ კარგი მსმენელი ვარ ქართული სიმღერის და ქართული მუსიკის. გული მწყდება, რომ ჩვენი სატელევიზიო არხები უფრო მეტ დროს უთმობენ უცხო ენებზე, ძირითადად, ინგლისურად შესრულებულ სიმღერებს, ვიდრე ქართულს. მენატრება ქართული ხალხური სიმღერები-ძარღვიანი, აზრიანი, მრავალხმიანი და თუნდაც ერთხმიანი, რომლებიც ჩემში, და იმედი მაქვს, ჩემნაირი ძალიან ბევრია, იმ სიყვარულს აღვივებენ, რომელსაც სამშობლოს და საკუთარი ხალხის სიყვარული და პატივისცემა ჰქვია-გვწერს იგი.

სრულიად ვეთანხმები ბატონ ელგუჯას. ჩვენ რაღაც მანია გვჭირს, ხან ერთს ავიკვიატებთ, ხან მეორეს,ზღვარი არ ვიცით, ვაფეტიშებთ რაღაცას და იმას ვერ ვხვდებით, ან ვხვდებით, მაგრამ არაფრად ვაგდებთ, რომ იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ვზივართ. ეს ყველაფერი კი ზემოდან იწყება. მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის პირველი პირები, მაღალჩინოსნები, ამა თუ იმ საერთაშორისო ფორუმებზე გამოდიან და თავიანთ სათქმელს ინგლისურად აყალიბებენ, მაშინ, როცა ყოფილი პირველი პირი ნებისმიერ ქვეყანაში ჩასვლისას მათ ენაზე საუბრობდა, ჩვენს ნიჭიერებასა და განსწავლულობაზე კი არ მეტყველებს, არამედ იმაზე, რომ პატივს არ ვცემთ და ვაკნინებთ ჩვენს მშობლიურ ენას. ვიღაც შემედავება და იტყვის,რომ ეს საერთაშორისო კომუნიკაციის ენაა, რომ დღეს ასეა საჭიროო,მაგრამ გავიხედ-გამოვიხედოთ,რატომ, თუნდაც ჩვენი კარის მეზობელი აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ანდა, იაპონიის და სხვა დიდი ქვეყნების პირველი პირები არ საუბრობენ მაღალი ტრიბუნიდან საერთაშორისო კომუნიკაციის ენაზე?! ფიქრობთ, რომ არ იციან? არა, ოფიციალური გამოსვლისას შენ შენს ქვეყანას წარმოადგენ და შენი სახე უნდა აჩვენო, ტრიბუნის იქეთ კერძო საუბრებსა და ურთიერთობებში კი სასურველია, გამოვამჟღავნოთ ჩვენი ერუდიცია და განსწავლულობა. ვფიქრობ, აქედანაც (და არა მხოლოდ აქედან)იწყება ქვემოთ და ქვემოთ უცხო ენების ასეთი გაღმერთება. მახსოვს,საბჭოთა წყობილების ბოლო ათეული წლები რუსულ ენას ანიჭებდა უპირატესობას ქართული ელიტა. პროვინციიდან დედაქალაქში ჩასულები იშვიათად თუ გავიგებდით ქართულ საუბარს არა მხოლოდ სამთავრობო ინსტანციებსა და ორგანიზაციებში, არამედ ტრამვაი-ტროლეიბუსით მგზავრობისასაც კი. ამას ჩვენ არავინ გვავალდებულებდა. იმის პარალელურად, რომ თავგამოდებით დავიცავით ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა და ძეგლიც ავუგეთ მას, პრაქტიკულად „რუსეთუმებად“ დავრჩით. ახლა ანალოგიური გვემართება ინგლისურ ენასთან მიმართებაში. ერთი რამ უდავოა, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარ, სასურველი და სასიამოვნოა, ინგლისური ენის ცოდნა, ბევრი რამის დედანში წაკითხვა-ჟურნალი იქნება ეს, გაზეთი, სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურა, მაგრამ ქართული უპირველესია!

ავიღოთ მაგალითად, ტელეშოუები. უდავოდ კარგი პროექტია „ნიჭიერი“. მართლაც, წარმოუდგენელი ნიჭის და უნარის ადამიანების გამომჟღავნება ხდება, როგორც ფიზიკურად, ასევე ინტელექტუალურად. გაოგნებული ვარ ზურაბ ბალანჩივაძის სტვენით, თუ მხოლოდ სტვენა შეიძლება ვუწოდოთ მის „გალობას,“ გორელი მოცეკვაეების შესრულების დონით, პატარა ბაიკერის გიორგი ბექაურის ანდა დიმიტრი ფაციას ფიზიკური შესაძლებლობებით. რომელი ერთი ჩამოვთვალო, მართლაც ბევრი ნიჭიერი ადამიანი გამომზეურდა, მაგრამ დავაკვირდეთ შესრულებულ სიმღერებს-უდიდესი ნაწილი ინგლისურად მღერის, იშვიათია ქართული სიმღერა. იქნებ იმიტომ, რომ თავად ჟიური ანიჭებს უპირატესობას ინგლისურ სიმღერებს, რომელიც ტელემაყურებელთა უმრავლესობას არც ესმის და არც სიამოვნებს. აი, მაგალითად, ტიტულოვანი ბატუტისტის ზაზა აბრამიშვილის და მისი ნიჭიერი შვილის მათეს გამოსვლას, რომელსაც მართლაც აღტაცებაში მოჰყავხარ, ინგლისური სიმღერა ახმოვანებს. დავიჯერო, ქართულში არ მოიძებნა შესატყვისი? ანდა, ავიღოთ ჯგუფი „ინკა-სოს“ მიერ შესრულებული მისტიური ინკების ცეკვა და სიმღერა, რომელმაც მქუხარე აპლოდისმენტები გამოიწვია და ჟიურის წევრ ქალბატონს ია ფარულავას მათ ქვეყანაში გამგზავრება მოანდომა. არ მესმის, ეს ქართული ტალანტის გამომჟღავნების პროექტია, თუ მსოფლიო ხალხთა ფესტივალი?! უცხოელები ქართულ სიმღერას, ცეკვას ან რაიმე სხვას რომ ასრულებდნენ, კიდევ ჰო, მაგრამ ეს პროექტი ხომ თვალის სასეირო არ არის, ეს ქართული გენის და ჯიშის ტალანტის გამომჟღავნების არეალია. როგორ დავიჯერო, პატარა ვირტუოზები თამარ ნაჭყებიანი და გიორგი ბაღათურია ინგლისურ სიმღერას კი ასრულებენ ასე შესანიშნავად და ქართულს ვერ შეასრულებდნენ? განა პატარა ვანო ფიფია ინგლისური სიმღერით რომ წარმდგარიყო საზოგადოების წინაშე, საზოგადოებაში ასეთი მუხტი იქნებოდა და პირველ ადგილს დაიმსახურებდა?!

ასევეა „ახალი ქართული ხმა“, რომელსაც ქართული სულის მარტო სათაური აქვს. ქართული ესტრადის „ვარსკვლავები“ სხედან ჟიურიში და არცერთი ქართული სიმღერა არ ისმის. კაცი იფიქრებს, ნეტავ ეს საქართველოს პროექტია თუ საერთაშორისოო. შემსრულებლის პირველსავე ბგერაზე დარბაზში აღტაცებული შეძახილები, წივილ-კივილი და ტაშის გრიალი ისმის. შემსრულებლები კი არც ხმას ზოგავენ, არც თავს და სხეულს, ხმის ჩახლეჩვამდე გაჰკივიან, იგრიხებიან, რომ როგორმე გადმოსცენ ის ემოცია, რაც ამ, ხშირად უმრავლესობისთვის გაუგებარ სიმღერებში დევს. მახსოვს, ასეთი შოუების დასაწყის ეტაპზე ცალ-ცალკე იმართებოდა შეჯიბრი ქართულ სიმღერაში, ინგლისურ სიმღერაში. ასე იყო მაგალითად, საბავშვო პროექტში“ „ანა-ბანა“ „სადაც საზღვარგარეთიდან ჩამოსული ქართველი ემიგრანტების შვილებიც კი, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ საზღვარგარეთ, ბრწყინვალედ ასრულებდნენ ქართულ სიმღერებს. ვიღაცამ ორი წლის წინ ეს პრექტი დაბლოკა. ამიტომ, თანდათან ეს ყველაფერი იკარგება, რაც ძალიან ცუდია. ეს გავლენას ახდენს ჩვენი მომავალი თაობის მენტალიტეტის, პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბებაზე. ჩნდება სინდრომი:- „შინაურ მღვდელს შენდომა არა აქვს“. ნუ ვიზამთ ამას, ეს დამღუპვალია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მომავლისთვის გავიხსენოთ მშვენიერი „პოეზიის ხუთი წუთი“, სადაც ქართველი მსახიობები, ანდა თავად ავტორები კითხულობდნენ ქართული კლასიკის ნიმუშებს, უფრო ხშირად ვაჩვენოთ ქართული მხატვრული ფილმები, რომელიც, მართლაც, უნიკალურია. „ჯარისკაცის მამას“ მხოლოდ 9 მაისს ვაჩვენებთ,(სხვა ვერაფერი მოგვიფიქრებია), არადა, პატრიოტული სულით გაჟღენთილი უამრავი ფილმი გვაქვს, სად წავიდა ის საუკეთესო სპექტაკლების ჩანაწერები, არქივში რომ აწყვია და მტვერი ადევს,საზოგადოებას კი ქართული სატელევიზიო ფილმები გვენატრება! დღედაღამ მივჩერებივართ უცხოულ ტელესერიალებს. ახლა ხანდახან ტელეარხ“ობიექტივზე“ იმიტომ გადავრთავ ხოლმე ტელევიზორს, რომ მოვუსმინო ირმა ინაშვილის რუბრიკას“ქართული კლასიკა უკვდავია“. მახსენდება ჩემი ახალგაზრდობა-გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლები, როცა მარნეულის რაიონის სოფელ არაფლოს აზერბაიჯანულ სკოლაში ქართულს ვასწავლიდი. ჯერ ხომ ყურადღებას არავინ აქცევდა, რას და როგორ ასწავლიდნენ, ან რა ენაზე საუბრობდნენ საქართველოში მცხოვრები ეროვნებით აზერბაიჯანელი ადამიანები. ზოგიერთმა „პური“ და „წყალი“ არ იცოდა ქართულად! თუ რომელიმე გაკვეთილი ცდებოდა, რაც არც თუ ისე იშვიათი იყო, სიმღერის მასწავლებელს აგზავნიდნენ და მთელ სკოლას ესმოდა ამ კლასის მიერ გუნდურად თუ ინდივიდუალურად შესრულებული აზერბაიჯანული ხალხური და საესტრადო სიმღერები. ოჯახებშიც ბოლო ხმაზე აწეული მაგნიტოფონებიდან თავიანთ მშობლიურ სიმღერებს უსმენდნენ. ეჭვი არ მეპარება, იქ ახლაც ასეა და მითუმეტეს, თავად აზერბაიჯანშიც. ჩვენთან კი თუ ცოტა პრესტიჟული მანქანაა, ჯაზი, როკი და რეპი ისმის, აქა-იქ იშვიათად ქართულიც. „მარშუტკებსა“ და ტაქსებში ხომ ხან უგემოვნო „ტაშ, ტაშ, ტარამ-ტარამ“ ისმის, ან, თუ ცოტა „მაღალი დონის“ მძღოლია, ისევ ინგლისური სიმღერები. არადა, რამდენი მარგალიტი გვაქვს-სად არის დისკები დები იშხნელების შესრულებით, სად არის ჰამლეტ გონაშვილი, გოგი დოლიძე, ანსამბლები“რუსთავი“, „მართვე“,რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

გავიგოთ ხალხო,რომ ჯერ ჩვენი უნდა გვიყვარდეს და ვაფასებდეთ და მერე სხვისა. ნურავინ იფიქრებს,რომ ვისაც ეროვნული, ქართული ხალხური ცეკვის და სიმღერის მოთხოვნილება აქვს, ის „გოიმია“ და ვინც დღე და ღამ უცხოურს უსმენს და აღმერთებს, „სვეტსკია“.არა, ასე ნუ დავიყოფით, ყველა ვიყოთ პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის პატრიოტი და შევინარჩუნოთ ეროვნული თვითმყოფადობა!

ნაირა გორაშვილი

„შირაქის“ ფოსტა

„მოვიდა სათავეში ნორმალური ხალხი“

მე ჩემს საქართველოზე შეყვარებული კაცი ვარ. ამიტომაც ჩემი ცხოვრება მას მივუძღვენი. ვიბრძოდი ჩემი ხალხის კეთილდღეობისთვის, სხვადასხვა დროს სახელმწიფო ჩინოვნიკების უკანონო ქმედებები სააშკარაოზე გამომქონდა. კერძოდ: მიწები თავიანთ ახლობლებზე რომ ნაწილდებოდა, თანამდებობებზე არასპეციალისტებს, გაუნათლებელ, გამოუცდელ კადრებს რომ ნიშნავდნენ. ბიუჯეტი არ სრულდებოდა, ფაქტიურად ხალხის ქონებას იტაცებდნენ და ა.შ. ახლაც არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რაიონში რა კეთდება კარგი და ცუდი, რა უნდა შეიცვალოს და რა დარჩეს.

კარგია დიდი ძალისხმევით, ყოველგვარი სამშენებლო ნორმების დაცვით რომ კეთდება ასფალტ-ბეტონის საფარი, განათება, ქუჩების დაგვა-დასუფთავება, გაზის და სასმელი წყლის 24 საათიანი მოწოდება. მაგრამ აღნიშნული სიკეთეების გვერდით დღეს ჩვენს რაიონში ონკოლოგიურმა დაავადებამ პიკს მიაღწია, მარტო ჩემს გარშემო მყოფ 5 ოჯახში 7 ონკოლოგიური ავადმყოფია, აქედან ერთი უკვე გარდაცვლილია. ჩემი აზრით, აღნიშნული დაავადება გამოიწვია სხვადასხვა გარემოებამ: რაიონში მიმდინარეობს კირქვის მოპოვება, მისი მტვერი გაფანტულია ახლომახლო დასახლებაში, რომელსაც ხალხი სუნთქავს, ხალხი იწამლება. მათი ხელმძღვანელები თავის საქმეს აკეთებენ, მდიდრდებიან, ადგილობრივ ბიუჯეტში კი მოგების პროცენტი არ შედის, რითაც შეიძლება აღნიშნული ავადმყოფების დახმარება. ასევე სასმელი-წყალი, რომელიც პრიმიტიულად იქლორება კრისტალი ქლორით, როგორც გაზეთ „შირაქში“ წავიკითხე, ლაბორატორიულად ანალიზებს ორ კვირაში ერთხელ აკეთებენ, რაც არასწორია. უნდა კეთდებოდეს ორ დღეში ერთხელ მაინც. ლაბორატორია უნდა მოეწყოს უმაღლესი დონის ხელსაწყოებით, ქლორის მიცემა დღეს ხდება გამდინარე „ბასეინში“, უნდა მოხდეს პირიქით- 2 საათის შემდეგ მიეწოდოს მოსახლეობას. ერთ-ერთი რუსი აკადემიკოსის განმარტებით, ზედმეტი ქლორის მიცემა ან საერთოდ ქლორის არმიცემა-ორივე იწვევს ონკოლოგიური დაავადებების გაჩენას. ამიტომ უნდა მოხდეს სასმელი წყლის სრულყოფილი დაქლორვა. ჩვენი წყალი ისედაც კირქვებით სავსეა, რაც ადამიანის ჯანმთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. კარგია, ბავშვებისათვის რომ კეთდება გასართობი სკვერები, იყრება პენზის ან აგურის ფხვნილი - ბავშვი წაქცევისას რომ არ დაზიანდეს. ეს სამშენებლო ნორმით არის გათვალისწინებული, მაგრამ იქნებ ამიხსნას არქიტექტორმა და ზედამხედველობის სამსახურმა, რატომ მოხდა წინა მთავრობის დროს ყოფილ სტალინის პარკში აგურის ფხვნილის შეცვლა რიყის ქვით, რომელი ნორმებით იხელმძღვანელა მან - ბავშვმა წაქცევისას ცხვირი რომ კარგად გაიტეხოს? ძალიან გული მტკივა, ჩემს ახალგაზრდობაში სკოლის მოსწავლეების მიერ დარგული მრავალწლიანი წიწვიანი ხეები რომ გაანადგურეს და მის ნაცვლად პოლიციის შენობა აშენებულიყო მოპირდაპირედ - მესერი გახსნილიყო სამხედროების დასახლებაში. მე ვერ გამიგია, გაზიფიკაციის საცხოვრებელი კორპუსის წინ გაკეთებული წყლის შადრევანი უმთავრესად უმოქმედოდ რად არის? ამბობენ, რომ მის მშენებლობაზე დიდძალი თანხაა დახარჯულიო. იქნებ ამ საქმით დაინტერესდეს პროკურატურა. დენის ხშირ გათიშვას საყრდენი ბოძების გამოცვლას აბრალებენ, ეს ნაწილობრივ ასეა, მაგრამ საღამოს საათებში რომ ითიშება, ამას რა დავარქვათ? წყალსადენისა არ იყოს, ისეა უთუოდ გაკეთებული, რომ სადღაც რომ დაზიანდეს, მთლიანად ითიშება დენიც და წყალიც. უნდა იყოს კვარტლებად დაყოფილი გათიშვა, ეს უფრო გაადვილებს მომსახურებას. დღეს, როდესაც მიმდინარეობს თვითმმართველობის კანონზე მუშაობა, უნდა დადგეს საკითხი რაიონში არსებული წიაღისეული სიმდიდრე გადმოეცეს ადგილობრივ თვითმმართველობას, მათ შორის სასმელი წყალი, სახნავ-სათესი მიწები, კარიერები, ნაგავსაყრელი და სხვა, აღნიშნულიდან შემოსავალიც ჩვენს ბიუჯეტში შევიდეს. ჩვენი მოსახლეობა თვითონ დაარეგულირებს, თუ სად რა გახარჯოს. სამედიცინო დაწესებულება უნდა გახდეს სახელმწიფო საკუთრება, როგორ შეიძლება, სასწრაფო დახმარება ქ. თბილისიდან იმართებოდეს? ამ ცოტა ხნის წინ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქე გახდა ცუდად, სასწრაფო დახმარება მისგან 100 მეტრში იმყოფებოდა, მაგრამ ვიდრე თბილისმა არ მისცა თანხმობა, ვერ მიიღეს ზომები, ავადმყოფი კი გარდაიცვალა დახმარების დაგვიანების გამო. შესაცვლელია ჯანმრთელობის პოლისები, ამაზეც მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოხატავს, მამის სახელის წართმევასთან ერთად ყოფილი სტალინის ქუჩის დასახელება, ნომერიც წაგვართვეს (ჰერეთის ქ).

წინააღმდეგი ვარ ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნებაზე. ჯერ უნდა შემოწმდეს, ქონება ვინ რა სახსრებით შეიძინა. თუ თავისი შრომითაა, მაშინ უნდა მოხდეს მისი დაბრუნება, ხოლო თუ ხალხის კუთვნილ ქონება აქვს მითვისებული, მაშინ ის ქონება ხალხს უნდა დაუბრუნდეს. ჩვენს რაიონში კოლმეურნეობების, ადგილობრივი ბიუჯეტზე არსებული ქონების 80% რამდენიმე კაცმა დაისაკუთრა. იქნებ დადგეს საკითხი, რამდენად კანონიერად ფლობენ აღნიშნულ ქონებას ყოფილი გამგებლები და ჩინოვნიკები, რომლებიც „პატიოსნები“ იყვნენ, ვითომ ხალხისთვის ზრუნავდნენ, ამ დროს თვითონ მდიდრდებოდნენ... როდესაც წინ აღუდგებოდი, ძალის გამოყენებით სამსახურს გატოვებინებდნენ. განა არ დადგა ის დრო, რომ პატიოსანი, გამოცდილი, მცოდნე ადამიანებით შეივსოს ყველა სტრუქტურა?

მე აღნიშნული ნერილი იმიტომ კი არ დავწერე, ვინმე გამინაწყენდეს, არამედ იმიტომ, რომ ჩემმა ახალგაზრდა თაობამ ხალხის დაფასება ისწავლოს. ყოველი უკანონოდ დახარჯული თეთრი ხალხის ფულია, ამიტომ უნდა მოხდეს მისი ამოღება. რა კოჰაბიტაციაზეა ლაპარაკი, როდესაც ხალხი მშიერი, უმუშევარი დატოვეს?

საქართველო ერთეულებისათვის არ არის, საქართველო ყველას სამშობლოა და ყველამ ერთნაირად უნდა ვწიოთ ჭაპანი, ყველამ უნდა დავდოთ თითო აგური ქვეყნის ასაშენებლად. თუ ვინმე არაკაცობას ჩაიდენს, მან უნდა აგოს პასუხი. არ მომწონს, სკამის გულისთვის ერთი პარტიიდან მეორეში რომ გადადიან. იქ რა გააკეთა, აქ რა უნდა გააკეთოს, მან ის პარტია რომ გაყიდა, ორჯერ მეტად მეორეს გაყიდის და ა.შ. გამყიდველებისთვის არსად ადგილი არ უნდა იყოს.

ყველას ბოდიშს გიხდით. მინდა, რომ ჩვენმა შვილებმა შეცდომები არ დაუშვან, მითუმეტეს, ჩვენი ოცნება ასრულდა. მოვიდა სათავეში ნორმალური ხალხი, უფრო მეტიც, ჩვენი მხრის, ჩვენს რაიონში დაბადებული პიროვნება. მე მჯერა მისი. (ყველა ზემო აღნიშნულ საკითხზე ვაგებ პასუხს).

თამაზ აბაშიძე

17 დეკემბერი ბარბაროზაა

მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით, 17დეკემბერს, ბარბარობის ბრწყინვალე დღესასწაული აღინიშნება.

დიდმონამე ბარბარე, იმპერატორ მაქსიმიანეს (305-311) დროს ეწამა ქრისტესთვის. და ბარბარე ქალაქ ილიოპოლში ცხოვრობდა. ის შეძლებული დიდგვაროვნის — დიოსკორეს ოჯახში დაიბადა. დიოსკორე ადრე დაქვრივდა და მეუღლისგან ერთადერთი შვილი, ბარბარე დარჩა. მამას ძალიან უყვარდა ქალიშვილი, ამიტომ გადაწყვიტა უცხო თვალისთვის მოერიდებინა და კოშკში გამოკეტა და მისი აღზრდა წარმართ მასწავლებლებს მიანდო. როდესაც ბარბარე კოშკიდან ბუნებას აკვირდებოდა, ხვდებოდა, რომ ასეთი მოწესრიგებული და ლამაზი გარემო, კერპების შექმნილი არ იქნებოდა. ამის შემოქმედი მხოლოდ ერთი, უმაღლესი, უზენაესი ძალა უნდა ყოფილიყო.

ხშირად ისმის ასეთი კითხვა: თუ ადამიანი ისეთ ადგილას დაიბადა ან მოხვდა, სადაც არ არსებობს მართლმადიდებლური ეკლესია და არ არის მოძღვარი, ნუთუ ის ადამიანი განწირულია?!

როდესაც ბარბარე გაურკვევლობაში იყო, კოშკში გამოკეტილი, ღვთის წყალობით, მას გაუჩნდა სურვილი ჭეშმარიტება ეპოვა. ასეეა ნებისმიერი ადამიანიც, რა გარემოშიც არ უნდა იყოს, თუკი მას ჭეშმარიტების შეცნობა უნდა, შემოქმედი მას ყოველთვის გამოუჩენს გზას, რომელიც უფალთან მიიყვანს და აცხონებს.

ამასობაში, წმიდა ბარბარეს მშვენიერების შესახებ ქალაქში ხმა გავრცელდა და უამრავი ჭაბუკი გამოჩნდა სხვადასხვა ქვეყნიდან, მისი ხელისა და გულის მაძიებელი. დიოსკორემ ასულს შესთავაზა, მთხოვნელთა შორის თავად აერჩია გულისსწორი, რაზეც წმინდანმა მკაცრად მიუგო, რომ ის გათხოვებას არ აპირებდა.

მამამ იფიქრა, ბარბარეს ჩაკეტილმა ცხოვრებამ და მარტოობამ გადაუსხვაფერაო ხასიათი. მას კოშკიდან გამოსვლის ნება დართო და თავისუფლება მიანიჭა, რათა თავისით აერჩია მეგობრები და გაუცხოვება განექარვებინა.

ცოტა ხანში დიოსკორეს საქმეების გამო გამგზავრება მოუხდა. ამ დროს, წმინდა ბარბარემ, უფლის განგებით, ქრისტიანი ქალწულები გაიცნო, რომლებმაც ყოვლადწმინდა სამების შესახებ აუწყეს მას. ბარბარემ ეს ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, შეიმეცნა და ქრისტიანობა მიიღო. ამის შემდეგ წმინდანმა იწყო გულმოდგინედ ლოცვა და მარხვა, დადო ქალწულობის აღთქმა და გადაწყვიტა სიცოცხლე ღვთისათვის მიეძღვნა.

ერთხელ, როდესაც ბარბარე ბაღში სეირნობდა, სადაც დიოსკორეს ბრძანებით დიდ აბანოს აშენებდნენ, წმინდანმა აბანოს მარმარილოთი მოპირკეთებულ შესასვლელში თითით ჯვარი გამოსახა, ქვის საფეხურზე კი მისის ტერფის ანაბეჭდი ამოიკვეთა, საიდანაც წყარომ ამოხეთქა და შემდგომში უკვე მრავალი სასწაულებრივი კურნება აღასრულა.

დიოსკორეს ბრძანების მიხედვით, აბანოს ორი სარკმელი უნდა ჰქონოდა — მზისა და მთვარის ნიშნად, ბარბარემ კი მშენებლებს მესამე სარკმლის გამოჭრაც სთხოვა, ნიშნად წმინდა სამებისა.

შინ დაბრუნებულმა დიოსკორემ, იხილა რა სამი სარკმელი, მშენებლებს გაუჯავრდა, მაგრამ ბარბარემ აღიარა მამასთან ჭეშმარიტი სარწმუნოება და შეეცადა დიოსკორეც მოექცია. მამა ისე გაუბრაზდა, მახვილი იშიშვლა და მოსაკლავად გამოეკიდა, ბარბარემ გამოქვაბულში დამალვა მოახერხა, მაგრამ ის ცოტა ხნის შემდეგ მაინც შეიპყრეს.

დიოსკორემ საკუთარი ასული მმართველ მარტიანეს მიჰგვარა. ქალწულის სილამაზით მოხიბლულმა მარტიანემ ტკბილი სიტყვით სცადა

მისი გადაბირება, თუმცა არაფერი გამოუვიდა, ბარბარე მტკიცედ იდგა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

წმიდა ბარბარეს ურჩობით განრისხებულმა მმართველმა ბრძანა, ტყავის შოლტებით ეგვემათ წმინდანი და სასტიკად აწამებინა. მაგრამ ნაწამებ ქალწულს თავად იესო ქრისტე გამოეცხადა და განკურნა და გაამხნევა. მეორე დღეს, როდესაც ბარბარე მტარვალების წინაშე იხილეს — ის სრულიად განკურნებული იყო.

მმართველმა ეს ყოველივე კერპებს მიაწერა, რადგან არ სურდა ერწმუნა ჭეშმარიტება. ბარბარესაც მოუწოდა თაყვანი ეცა კერპთათვის, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. ამიტომ ის ამჯერადაც სასტიკად გვემეს, ოღონდ, ახლა უკვე ხალხის წინაშე.

ასულის სიმტკიცით გაოცებულმა ჯალათებმაც კი ირწმუნეს ქრისტე, რისთვისაც უმალვე დაისაჯნენ სიკვდილით.

ბარბარეს წამების საცქერლად შეკრებილ ბრბოში იდგა ილიოპოლელი ქალწული იულიანაც, რომელიც თანდათან ივსებოდა წმიდა მარტვილისადმი თანაგრძნობით და მის მსგავსად, ქრისტესთვის თავგანწირვის სურვილით ინთებოდა. ბოლოს ნეტარმა ხმამაღლა დაიწყო მტარვალთა მხილება, რისთვისაც მსწრაფლ შეიპყრეს და ბარბარესთან ერთად საწამებლად შეაგდეს.

წმიდა ბარბარეს და იულიანას, სამოს შემოძარცვულებს დაატარებდნენ ქუჩებში, სცემდნენ, დასცინოდნენ... უფლის ანგელოზებმა კი ნეტარქალწულთა სიშიშვლე სპეტაკი სამოსით დაჰფარეს, რითაც უხილავი შეიქმნა მათი სიშიშვლე.

ამდენი დამცირების შემდეგ ბარბარეს თავის მოკვეთა მიესაჯა და ის თავად დიოსკორემ გაიყვანა დასასჯელად. მაშინ, წმინდა ქალწულმა ითხოვა, რომ მისთვის ხელები გაეხსნათ, რათა ელოცა, პასუხად კი დაცინვა მიიღო. ამ დროს გაისმა ხმა ზეციდან: "მოვედ, წმიდაო ბარბარე, დისა შენისა იულიამას თანა სასუფეველსა ცათასა. აჰა, ესერა ანგელოსნი იხარებენ მოწევნასა შენსა მათთანა და ყოველი, რომელი ითხოვე. მიმიცემიეს შენდა და უფროისი ამისსა მიგცე შენ". ამის შემდეგ დიდი სიხარულით მოუდრიკეს ქედი მახვილს. წმინდა ბარბარე მამამისის ხელით აღესრულა. როგორც კი დიოსკორემ ასულს მახვილი დასცა, იმავ წამს ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა. ზეციდან წამოსული შემოსული საშინელი ცეცხლი დაატყდა მას თავს და ერთიანად დაწვა. მისი ფერფლი კი უეცრად ამოვარდნილმა ქარმა გაფანტა. ასევე, დაისაჯა მარტიანეც, სასახლეში შესვლისას მეხი დაეცა და მისგან მტვერიც აღარ დარჩა.

მორწმუნე ქრისტიანებმა წმინდა ბარბარეს პატიოსანი ნეშტი პატივით დაკრძალეს. VI საუკუნეში ნეტარი დიდმონამის წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს, საიდანაც XII საუკუნეში კიევში იქნა გადასვენებული. ამჟამად, წმინდა ბარბარე კიევის ლავრაშია დაკრძალული.

წმ. ბარბარეს წმინდა ნაწილები კიევშია დაცული. თუმცა, რამოდენიმე წლის წინ ჩამოაბრძანეს მისი ხატი, რომელშიც წმიდა ნაწილი იყო ჩაბრძანებული. ეს ხატი საპატრიარქოს შესწირეს და იქ არის დაცული.

საქართველოში წმიდა ბარბარეს სახელობის რამდენი ტაძარია. თბილისში სამი თუ ოთხი, ხოლო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია აგებული. ძველთაგანვე ქართველები დიდ პატივს მიაგებდნენ ამ წმიდანს და აშენებდნენ მისი სახელობის ტაძრებს.

წმინდა ბარბარე მართლაც ბავშვების მფარველად არის აღიარებული, თუმცა საეკლესიო პირებს მიაჩნიათ, რომ ასე გამოყოფა არასწორია. როგორ შეიძლება ერთი წმიდანი ბავშვების მფარველი იყოს და მეორე —არა?! განა წმინდა გიორგის, რომ ვავედროთ ბავშვები, არ დაიფარავს? წმიდა ბარბარე ყველა ადამიანის მფარველია.

რას გვეტყვი, მამაო?

- მამაო, არის ასეთი ტრადიცია, რომ ბარბარობას ლობიანებს აცხობენ. რამდენად სწორია ეს?

- ეს ხალხური ტრადიციაა, რომელიც დროთაგანმავლობაში ჩამოყალიბდა და ეკლესიასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს ცუდი არ არის, პირიქით, ხალხური შემოქმედებაა. ხალხი თავისებურად გამოხატავს პატივისცემას ამ წმინდანის მიმართ. ეს მისასალმებელია.

- მამაო, 17 დეკემბერს, ბარბარობასთან ერთად, ბედობასაც ულოცავენ ერთმანეთს ქართველები. მართებულია ეს?

- ბედობა ცრურწმენაა. ამასთან დაკავშირებით ეკლესიას სხვა მოსაზრება აქვს, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა. 17 დეკემბერს ჩვენ ბარბარობის წმიდა დღესასწაულს ვზეიმობთ და არა, ბედობას.

მონატრება

თამაზ ჭუჭულაშვილი

მადლობა ყველას!

თამაზ, გავიდა ორმოცი დღე, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ამბობენ, დრო მკურნალიაო, ეს ტყუილი ყოფილა, რაც დრო გადის, უფრო გვენატრები. ყოველი დღე ტირილით იწყება და ტირილით მთავრდება. სიკვდილი სიკვდილია, მაგრამ სამსახურმა რომ გიმსხვერპლა, ყველაზე ძალიან ეგ მიკლავს გულს. როგორ ვერ გაუძელ დაქვეითებას?! ძალიან ნერვიულობდი და აი შედეგიც. მანდ მაინც იყავი მშვიდად, არც მე და არც ნიკას შენს მეტი არაფერი გვაკლია, რადგან კიდევ ყოფილან ამ დროში კეთილი და გულიანი ადამიანები, რომლებიც შენი ობლის და ჩემს მიმართ დიდ ყურადღებას იჩენენ. ერთი მძიმე თვე, რომელიც საავადმყოფოში გავატარეთ, ამის თვალნათელი მაგალითი იყო- ყოველ წუთში ისმოდა ტელეფონის ზარი და ათასი გულშემატკივარი გკითხულობდა. მინდა ჩემი და ჩემი პატარა ნიკას სახელით ყველას ვუთხრა მადლობა. განსაკუთრებით დიდ მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს, მის მოადგილეს ირმა ჯანაშვილს და მათ ყველა თანამშრომელს. ყველა ხელმძღვანელმა უნდა მივბაძოთ ქალბატონ მაიას გულისხმიერებასა და თანადგომაში. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ექიმ ნინო საყვარელიძეს, რომელიც სახლში მობრძანდა, გაამხნევა და დარიგება მისცა ჩემს თამაზს, მადლობა იამზე ნანობაშვილს, რომელიც ხშირად გვკითხულობდა, გვამხნევებდა, იმედს გვაძლევდა. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი გულიანი , ყურადღებიანი და ზრდილობიანი ადამიანები. ეს ხომ საკმაოდ დეფიციტია დღეს.

მეულლე მაკა ზურაშვილი

მონატრება

ზინა ფიროსმანაშვილ-გულაშვილი

საყვარელო დედა, 20 დეკემბერს შენი დაბადების დღეა. როგორ გვიყვარდა შენს შვილებს ეს დღე, მთელი წელი ველოდით, რომ იმ დღით უფრო მეტად გამოგვეხატა შენდამი სიყვარული და პატივისცემა. მადლიერების ნიშნად შენც სამაგიერო სითბოს გვაგებებდი. რა ბედნიერები ვიყავით მაშინ. როგორ დაგვწყვიტა გული შენთან განშორებამ, როგორ გვენატრები დღეს. არავითარი დრო არ კურნავს ამ ტკივილს. გმადლობთ იმ ამაგისთვის, რაც სამი შვილის და შვილიშვილების გაზრდას შეალიე. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, არასდროს მოგაკლდება სანთელ-საკმეველი ჩვენგან, შენ კი მანდ ილოცე შენი დანატოვარი შვილებისა და ახლობლებისათვის.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ძვირფასო დედა, ჩვენთვის დაუვიწყარო, უწყინარო და სპეტაკო ქალბატონო.

ლეილა, მზია, ჰამლეტი გულაშვილები **ოჯახებით**.

მონატრება

დარიკო (მერი) ელიზბარაშვილი

10 დეკემბერს შენი დაბადების დღე იყო, ჩვენო ლამაზო და საყვარელო დედიკო. 86 წლის შესრულდებოდი. მიუხედავად შენი ასაკისა, ისეთი ნათელი გონება გქონდა, ლექსებს და აფორიზმებს ხშირად გვეუბნებოდი, გვამხნევებდი, რადგან სიცოცხლე გიყვარდა, მუდამ გვახალისებდი.

ცხრა თვე შესრულდა შენი გარდაცვალებიდან. შენ ხომ შენს ტკბილ ოჯახზე დაგრჩა თვალი. დღემდე ჩემსა და ტასოს თვალზე ცრემლი არ შრება, ჩვენი სახლი თითქოს ცარიელია უშენოდ, თვალებით გამუდმებით დაგეძებთ. დედიკო, დაგვტოვე და მხარი ჩამოუგდე შენს ერთგულ მეუღლეს-ჩვენს საყვარელ მამიკოს.

„ვალიკო არ დამიჩაგროთ, გაუფრთხილდით, ხომ იცით, როგორი კარგი მამა გყავთო",- სულ ამას გაიძახოდი, თითქოს გრძნობდი, რომ უნდა წასულიყავი ამ ქვეყნიდან. დედა. მამიკოს სევდიანი თვალები მარტოდ, უქალოდ დარჩენილი დარდის გამოხატულებაა. ამ ცხრა თვის განმავლობაში თითქოს უცებ მოტყდა, მხრებში მეტად მოიხარა ჩვენი მოხუცი მამიკო, მაგრამ უძლებს უშენობით გამოწვეულ მწარე ტკივილს, აქეთ გვამხნევებს.

ჩვენო თბილო და ტკბილო დედიკო, შენი საყვარელი შვილიშვილები- გიორგი და სოფო არ გივიწყებენ, ძალიან განიცდიან საყვარელი ბებოს დაკარგვას.შენი საყვარელი ვაჟკაცი, შენი გიორგი, ხშირად, ჩვენგან მალულად ადის ხოლმე საფლავზე და გინთებს სანთლებს, ძალიან ეცოდება მარტოდ დარჩაენილი „ვალიკო პაპა".

ჩვენო კეთილო დედიკო, ძალიან, ძალიან გვიყვარხარ ყველას. შენს შვილებს და შვილიშვილებს, შენს საყვარელ მეუღლეს, შენს ახლობლებს და ყველას, ვინც გიცნობდა.

მსუბუქი იყოს შენს გაყინულ გულზე დაყრილი მიწა. გპირდებით, რომ შენს თხოვნას შევასრულებთ- არ დაგიჩაგრავთ შენს საყვარელ მეუღლეს, ჩემი შვილების უსაყვარლეს პაპას და შენი სახელი დავიწყებას არასოდეს არ მიეცემა.

ცრემლიანი მონატრებით: მეუღლე ვალიკო, **შვილები:** ეთერი, ტასო ელიზბარაშვილები, **შვილიშვილები:** გიორგი, სოფო ლათიბაშვილები.

ჩემს საყვარელ დედიკოს

„ჩემო ლამაზო დედიკო,
ჩემო კეთილო ქალო,
შვილებზე ფიქრში დაღლილო,
მშრომელო, ამაგდარო.
შენს კეთილ თვალებს ვიხსენებ,
ტკივილით ნაწამებ მზერას,
იქნებ გადარჩენა შემეძლო,
მაგრამ ვერ გიშველე, ვერა!
შენს ლანდს დავეძებ ოთახში,
ცრემლები ღაჰა-ღუჰით მცვივა,
ახლა როგორ ხარ, ძვირფასო,
ნუთუ ისევ გული გტკივა?
მამიკოს სიბერის იმედო,
მის სუნთქვის დარაჯად მდგარო,
ოჯახის დიდო ბურჯო და,
ქალის ეტალონის დარო.
გული, ჩვენზე ფიქრში დაღლილი,
გაჩერდა, დაიღალა, დადუმდა.
რაღა დაგვრჩენია-ცხოვრებას
ლოცვით გავაგრძელებთ თავიდან.

ეთერ ელიზბარაშვილი

მონატრება

ჯონი ბენაშვილი



ჩვენო ძვირფასო ჯონი, 8 წელია, შენ გტირით,შვილო, შენზე ვლოცულობთ და შენ გინთებთ წმინდა სანთლებს. 19 დეკემბერი შენი დაბადების დღეა. 37 წლის გახდებოდი. 8 წელია, უშენოდ ვხვდებით ამ ტკივილიან დღეს. ნათელში გამყოფოს უფალმა და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი. დაბადების დღეს გილოცავთ შენი მშობლები, ძმა, რძალი, 3 ძმისშვილი და ახლობლები. გვენატრები, გვენატრები ძალიან. მწარეა ყოველი დღე უშენოდ, გეფერებით ბევრს ჩვენგან შორს საბერძნეთში, ათონის მთაზე, პეტრე-პავლეს მონასტერში სულდალეულო ჩვენო უიღბლო შვილო. 29 წლისას მოულოდნელად გეწვია სიკვდილი და უდროოდ დაასრულა შენი სიცოცხლე. დაგრჩა განსახორციელებელი მრავალი გეგმა და ჩანაფიქრი. ვიწვალეთ, მაგრამ მშობლიურ მიწას მივაბარეთ შენი სხეული, შენი სულის საოხად კი არ გაკლებთ ლოცვას და სანთელ-საკმეველს. ახლაც მოვალთ შენს საფლავზე, გულწრფელ ცრემლს დაგაყრით და ერთხელ კიდევ გეტყვით, რომ არასოდეს დაგივიწყებთ, სულ მუდამ ცოცხალი იქნები ჩვენს გულებში.

მშობლები: ნანი და როლანდ ბენაშვილები.

ხვიჩა ქოქუაშვილი – მსოფლიო ჩემპიონი გახდა

7 დეკემბერს თურქეთის ქალაქ ანტალიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კიკ-ბოქსინგში დედოფლისწყაროს სპორტული გუნდი „ჩემპიონის“ სპორტსმენი, 23 წლის ხვიჩა ქოქუაშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ქოქუაშვილი ყველაზე პრესტიჟულ წონით კატეგორიაში 86 კილოგრამებს შორის ასპარეზობდა. როგორც სპორტსმენის მწვრთნელმა თამაზ ყარაგვეზაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მან აშკარა უპირატესობით ოთხი ბრძოლა მოიგო, აქედან სამი ნოკაუტით. ქართველი მესაზღვრე დედოფლისწყაროს სპორტული გუნდის, „ჩემპიონის“ სახელით მონაწილეობდა.

„ქოქუაშვილმა დაამარცხა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები და აღიარებული ლიდერი კიკბოქსინგელები - დანიელი, თურქი, ალჟირელი და ხორვატიელი სპორტსმენები და ხვიჩა მსაჯებმა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ორთაბრძოლების ავტორად დაასახელეს. ეს მთელი საქართველოს უდიდესი წარმატებაა მსოფლიო სარბიელზე, რომელსაც დიდხანს ველოდით,“ — აღნიშნა სპორტული კლუბი „ჩემპიონის“ მწვრთნელმა თამაზ ყარაგვეზაშვილმა.

პაველ არიოლი *(მსოფლიო კიკ-ბოქსინგის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი)*: უკრაინაში ბევრი ქართველია. ამჯერადაც ქართველებმა დამსახურებულად მიიღეს პირველი ადგილი და ეს ძალიან სასიამოვნოა. მითუმეტეს, რომ ნოკაუტით მოიგო. უნდა აღინიშნოს, რომ თქვენ ძალიან ბევრი ძლიერი სპორტსმენი გყავთ. ძალიან მიხარია, რომ საქართველოს ხელისუფება სპორტის ამ სახეობას ყურადღებას უთმობს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თამაზ ყარაგვეზაშვილს, ხვიჩას აღზრდისთვის“.

ვასილ ჩერნიკოვი *(რუსეთის კიკბოქსინგის ფედერაცია)*: „ეს არის დიდი ჯილდო გამარჯვებულისთვის. საქართველოში ეს სპორტი აღმავლობის გზაზეა, ვნახეთ ბრწყინვალე გამოსვლები. მადლობას გიხდით თქვენ და ხვიჩას მწვრთნელს, თამაზ ყარაგვეზაშვილს, ასეთი სპორტსმენის აღზრდისთვის. მან მართლაც დიდი ღვაწლი ჩადო ამ სპორტსმენში და შედეგიც ვნახეთ. საქართველოს მუდმივად ძლიერი სპორტსმენები ჰყავს“.

კლუბმა ჩემპიონატზე გამგზავრება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დაფინანსებით მოახერხა. როგორც თამაზ ყარაგვეზაშვილი აღნიშნავს, ბოლო წლებში სპორტსმენები მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობის მიღებას ფინანსური პრობლემების გამო ვერ ახერხებდნენ. მათ საერთაშორისო ტურნირებზე გამგზავრებას არც ადგილობრივი სპორტის სამსახური აფინანსებდა.

ხვიჩა ქოქუაშვილი შსს-ს სასაზღვრო პოლიციაში მუშაობს. თურქეთიდან დაბრუნებულ სასაზღვრო პოლიციის №4 დედოფლისწყაროს სამმართველოს მესაზღვრეს, შს სამინისტრომ თბილისის აეროპორტში საზეიმო დახვედრა მოუწყო. სპორტსმენს სამინისტროს წარმომადგენლები, მისი თანამშრომლები და მეგობრები შეეგებნენ და ხვიჩა ხელში აიტაცეს.

„ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ანტალიაში, სადაც მონაწილეობა მივიღე, ძალიან დაძაბული 4 ბრძოლა მქონდა, ოთხივეში გამარჯვება მოვიპოვე და გავხდი მსოფლიო ჩემპიონი. ბავშობის ოცნება ავიხდინე და დასახულ მიზანს მივაღწიე. ვულოცავ ამ გამარჯვებას მთელ საქართველოს,“ — განაცხადა ხვიჩა ქოქუაშვილმა თბილისის აეროპორტში ყოფნისას.

შეხვედრა მინისტრთან

საქართველოში დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე კიკბოქსინგის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულ ხვიჩა ქოქუაშვილს შეხვდა. მინისტრმა ხვიჩა ქოქუაშვილს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მიულოცა და პირველი ხარისხის მედლით „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დააჯილდოვა. შს სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, მესაზღვრე ჩემპიონმა მინისტრისგან ასევე ფულადი პრემია მიიღო.

„ქალაქ ანტალიაში ვიმყოფებოდით, სადაც ჩატარდა ძალიან დიდი მასშტაბის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდა 100-ზე მეტი ქვეყანა. ძალიან საპასუხისმგებლო ტურნირი იყო, რადგან ამდენი ქვეყანა მონაწილეობდა. ოთხი ბრძოლა ჩავატარე და გავიმარჯვე. მოხარული ვარ, რომ მინისტრმა მიმიღო და დამაფასა“, — განაცხადა ხვიჩა ქოქუაშვილმა.

ქოქუაშვილის გვარი გაზეთ „შირაქის“ მკითხველისა და ნებისმიერი დედოფლისწყაროელისთვის ამ წარმატების მიღწევამდეც კარგად ცნობილი იყო. ის იმთავითვე ერთერთი გამორჩეული სპორტსმენი იყო, სპეციალისტები მას დიდ მომავალს სპორტული კარიერის დასაწყისშივე უწინასწარმეტყველებდნენ. ეს ყველაფერი კი იმიტომ, რომ რინგზე ხვიჩას ბრძოლის გამორჩეული მანერა აქვს.

2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეცაა. სწორედ მასთან ერთად ბრძოლაში დაეცა მისივე თანაკლასელი და მეგობარი, სოფელ სამრეკლოს მკვიდრი გიორგი აბიათარი.

პლანეტის სპორტული ზეიმი ორთაბრძოლებში - ასე უწოდეს კიკბოქსინგის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნას თურქეთის ქალაქ ანტალიაში რომელიც 30 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. მისი ორგანიზატორი კი გახლავთ WAKO-ს ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის კიკბოქსინგის ფედერაციას და ოლიმპიურ კომიტეტთან შეთანხმებით მართავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს. მასში განევრიანებულია 144 ქვეყანა და აქ მოპოვებული წარმატება ყველაზე პრესტიჟულად ითვლება მსოფლიოში. ეს ჩემპიონატი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს ასეთი მიღწევა კიკბოქსინგში ჯერ არ ჰქონია. მისი წარმატების ავტორი კი დედოფლისწყაროელი ხვიჩა ქოქუაშვილი გახდა.

ილია მარტყოფლიშვილი

საქართველოში უცხოური ფარმაცევტული კომპანიები შემოვლენ

საქართველოს ბაზარზე უცხოური ფარმაცევტული კომპანიები შემოვლენ. როგორც ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დაწყებამდე ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განუცხადა , მოლაპარაკებები პრაქტიკულად დასრულებულია.

“ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად მოვახერხებთ ხარისხის კონტროლის სისტემის ამუშავებას, რომ ბაზარი გაიხსნას და ეს კომპანიები შემოვიდნენ. საუბარია დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, უნგრეთისა და ისრაელის ფარმაცევტულ კომპნიებზე”, - აღნიშნა დავით სერგეენკომ.

ყურადღება!

ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №41, კორპუსი 29-ში (საქართველოს ბანკის გვერდით, კორპუსში, II სართულზე) გაიხსნა კოსმეტიკური კაბინეტი, სადაც სახის მოვლის თანამედროვე მეთოდებით მოგემსახურებათ კვალიფიციური კოსმეტოლოგი. დღეისთვის მოქმედებს საახალწლო ფასდაკლება ყველა პროცედურაზე.

მსურველებმა დარეკეთ ☎ 593063300. იკითხეთ ნონა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2013 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 16.12	სამშაბათი 17.12	ოთხშაბათი 18.12	ხუთშაბათი 19.12	პარასკევი 20.12	შაბათი 21.12	კვირა 22.12
დღე	-4 °	-2 °	-2 °	-3 °	-3 °	-2 °	-2 °
ღამე	-5 °	-4 °	-4 °	-3 °	-3 °	-5°	-5 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K